პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 კვირა 20 ივნისი № 143 (16573) ფასი 2 კაპ. 1976



საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია გაიხსნება ხვალ, 21 ივნისს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება ხვალ, 21 ივნისს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების, ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანის დროს მათი დანაკარგების შემცირებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო წლებში მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების გაუმჯობესებისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. შეიქმნა სახელმწიფო აგროქიმიური სამსახური, რომელსაც ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში აგროქიმიური სადგურებისა და ლაბორატორიების ფართო ქსელი წქვს. ამის შედეგად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რეგულარულად ამოწმებენ მიწის სავარგულებს, მეურნეობებს უზრუნველყოფენ აგროქიმიური კარტოგრამებით, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებით მინერალური სასუქებისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენების შესახებ. ბევრ რაიონში შეიქმნა ქიმიზაციის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათშორისო პუნქტები, სოფლტექნიკის სპეციალიზებული ქვეგანყოფები, რომლებსაც ეკისრებათ მინერალური სასუქებისა და კირიანი მასალების მიწოდება და ნიადაგში შეტანა, მინერალური სასუქების ნარევების მომზადება, ტორფის მოპოვება, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მომსახურება და სხვა სამუშაოები.

ამასთან ერთად სასუქების გამოყენებასა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების ორგანიზაციაში დიდი ნაკლოვანებებია, რაც ამცირებს სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის ეფექტიანობას. ხშირია მინერალური სასუქების, კირიანი ნივთიერებისა და მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების გადაზიდვისა და შენახვის დადგენილი წესების დარღვევის, მათი დიდი დანაკარგების შემთხვევები. ნელა იქმნება და მტკიცდება ქიმიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლტექნიკის ორგანიზაციებში. ზოგიერთ რაიონში უზრუნველყოფილი არ არის სოფლტექნიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების სპეციალიზებულ განყოფილებათა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო აგროქიმიური სამსახურის სათანადო ურთიერთმოქმედება. შემუშავებული არ არის მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიურ საშუალებათა შენახვისათვის განკუთვნილი ოპტიმალური ტევადობის მექანიზებული საწყობების განლაგების ერთიანი სქემა. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სოფლტექნიკის ორგანიზაციებში ისე აშენებენ წვრილ არამექანიზებულ საწყობებს, რომ ეკონომიურად არ არის დასაბუთებული მათი განლაგება, რასაც მოსდევს სასუქების არარაციონალური გადაზიდვა, შრომის დიდი დანახარჯები დასატვირთ-გადმოსატვირთი სამუშაოების დროს. ცალკეული მეურნეობები სასუქებს იყენებენ აგროქიმიური კარტოგრამებისა და მათი გამოყენების რეკომენდაციების გაუთვალისწინებლად.

სსრ კავშირის მთელი რიგი სამინისტრო და უწყება, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დამაკმაყოფილებლად არ ასრულებენ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას მინერალური სასუქებისა და კირიანი მასალების ტრანსპორტირებისა და შენახვას გაუმჯობესების შესახებ.

მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ არ უზრუნველყო მინერალური სასუქების უტარიდ გადაზიდვისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული თვითსაცლელი ვაგონების სერიული წარმოება, აგრეთვე ქიმიური პროდუქციის საწყობებისათვის განკუთვნილი ახალი დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმების დამზადება.

ქიმიური მრეწველობის სამინისტროს არ განუზორციელებია ღონისძიებები იმ მინერალური სასუქების ხარისხის გაუმჯობესებისა და მიწოდების გადიდების დავალებათა შესასრულებლად, რომლებიც ვარგა უტარო გადაზიდვისა და მინერალური სასუქების მშრალი ნარევების მოსამზადებისათვის.

არის მინერალური სასუქების მექანიზებული საწყობების მშენებლობის დავალებათა შეუსრულებლობის ფაქტები. არსებულ საწყობებს დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში შიგ ინახავენ სხვა პროდუქციას, მაშინ როცა მინერალური სასუქები ღია ცის ქვეშ რჩება, კარგავს თავის თვისებებს, რაც დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს.

დადგენილებაში აღინიშნება ექცევა იმას, რომ ცალკეული ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებენ, რათა აღმოფხვრან ნაკლოვანებები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიურ მომსახურებაში, არ დაუშვან მინერალური სასუქებისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სხვა საშუალებების დანაკარგები, უზრუნველყონ მათი მაღალეფექტიანი გამოყენება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, გაუაზრესონ იმ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საქმიანობა, რომლებიც ქიმიური პროდუქციის ტრანსპორტირების, შენახვისა და სოფლის მეურნეობაში გამოყენების პრობლემებზე მუშაობენ.

მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის სხვა საშუალებათა მიწოდება, რაც სასუქების ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს დანაკარგების შემცირებისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა სისტემის განხორციელებასთან ერთად მოითხოვს აგროქიმიური სამსახურის სწორ და ზუსტ ორგანიზაციას, რომელიც გაითვალისწინებს თვითეული მეურნეობის თავისებურებებს და უზრუნველყოფს მინერალური სასუქებისა და ქიმიზაციის სხვა საშუალებების ეფექტიან გამოყენებას, მოსავლის მაქსიმალურ მატებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განახორციელონ ღონისძიებები მინერალური სასუქების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ტრანსპორტირების, შენახვისა და ნიადაგში შეტანის დროს მათი დანაკარგების შემცირებისა და სოფლის მეურნეობაში აგროქიმიური სამსახურის სრულყოფისათვის. ყოველი ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა, ტრანსპორტისა და სოფლტექნიკის გაერთიანებების მუშაკთა პასუხისმგებლობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის ყველა საშუალების დროულად მიწოდების, დაცვისა და რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკსოფლტექნიკას“ დაავალათ განაზოგადონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ქიმიზაციის პუნქტებისა და სოფლტექნიკის მეურნეობათა აგროქიმიური მომსახურების სპეციალიზებულ განყოფილებათა მუშაობის გამოცდილება და, ადგილობრივი პირობების შესაბამისად (მეურნეობათა სიდიდე, ეკონომიკის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და წარმოების ინტენსიფიკაციის დონე) გადაწყვიტონ აღნიშნულ ქვეგანყოფთა შემდგომი განვითარების საკითხი, ხოლო იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, სამეურნეოთაშორისო კოოპერაციის საფუძველზე შექმნან სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საერთო ორგანიზაციები და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები.

უზრუნველყონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო აგროქიმიური სამსახურთან სოფლტექნიკის სპეციალიზებული განყოფილებების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული ქიმიზაციის პუნქტებისა და მეურნეობათა აგროქიმიური მომსახურების სხვა ორგანიზაციების შეთანხმებული მუშაობა, ამასთან გაითვალისწინონ, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ხელმძღვანელობენ მთლიანი დაქვემდებარებული სახელმწიფო აგროქიმიურ სამსახურს და უზრუნველყოფენ:

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სასუქებისა და სხვა ქიმიურ საშუალებათა ეფექტიანი გამოყენებისა და სწორად შენახვის ორგანიზაციას და ზემოაღნიშნულ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის სამუშაოთა ხარისხისა და დროულად შესრულების სისტემატურ კონტროლს;

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტთა მონაწილეობით მინერალურ სასუქებზე კირიან მასალებსა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სხვა საშუალებებზე მეურნეობების მოთხოვნილების განსაზღვრას;

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მიწის სავარგულების აგროქიმიურ შემოწმებას და ნიადაგის ქიმიური მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის სხვა სამუშაოთა შესრულებისათვის რეკომენდაციათა დროულად შემუშავებას და მეურნეობებისათვის გადაცემას;

საკვების ხარისხის ანალიზს და მეურნეობებისათვის მეცხოველეობასა და საკვებწარმოებაში მისი გამოყენების შესახებ რეკომენდაციების გადაცემას;

სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის დარგში საკვლევი მუშაობის მეცნიერულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობას.

„საკსოფლტექნიკა“ და მისი ადგილობრივი ორგანოები, მინერალური სასუქებით, კირიანი მასალებითა და ქიმიზაციის სხვა საშუალებებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომარაგების, მათთვის ამ პროდუქციის ცენტრალიზებული მიწოდების სამუშაოთა შესრულებასთან ერთად, იმ მეურნეობებში, რომლებსაც შესაძლებლობა არა აქვთ საკუთარი ძალებით შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის სამუშაოთა შესრულებისათვის რეკომენდაციათა დროულად შემუშავებასა და მეურნეობებისათვის გადაცემაში, ეხმარებიან ამ საქმეში ადგილობრივ ორგანოებს, ეხმარებიან ადგილობრივ ორგანოებს ტექნიკურ-ეკონომიკურ ანგარიშებისა და ბიზნეს-პროექტების შედგენაში, ეხმარებიან ადგილობრივ ორგანოებს ადგილობრივ ბაზაზე ადგილობრივ ნედლეულზე ადგილობრივ ენერგიაზე ადგილობრივ ადამიანურ რესურსებზე ორიენტირებული ქიმიზაციის ობიექტების ასაშენებლად.

(დასასრული მე-2 გვ.).

19 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

ვუსწორდეთ მოსავლის ოსტატებს

ნოვაბორთა მტკიცე წესია, — წერს გაზეთი მეთაური რიგიდან, — ნამდვილად უფრთხილდებოდნენ თვითეულ სამუშაო წუთს. აქ მათ ეხმარება საქმისადმი შემომქმედებითი დამოკიდებულება, მისწრაფება გამოიყენონ მეცნიერების და ბრალტიკის მიღწევები.

მოსავლის აღება უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა. იგი სოფლის ყველა კომუნისტის აქტიურ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას მოითხოვს. შეიარაღების გაზრდისას ისინი, უპირველეს ყოვლისა, იაღდებული არიან ოქტომბერ-მთესველ ლენინურ-ბრეჟნევ მოსავლის ბედისათვის დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა... რაც უფრო კარგად გამოიენენ თავს ამ გზაზე პარტიული ორგანიზაციები, მით უფრო წარმატებით დაამთავრებენ მას და პურეულის დამზადებას სოფლის მშრომელები. მით უფრო დიდი იქნება მათი წვლილი ხუთწლედის გეგმების, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

რუბრიკით — „რესპუბლიკები ხუთწლედის ვახტზე“ გამოქვეყნებულია ფოტორეპორტაჟი — „ამ მხარეს ლიტვას უხმობენ“.

მკითხველი ამ ნომერშივე გაიცნობს გ. სინელნიკოვის ლიტერატურულ შენიშვნებს — „ხაქმე ადამიანით ფასობს“. ახალი საზოგადოების ადამიანის სულიერი სიმდიდრე, — ალნიშნავს ავტორი, — მისი მისწრაფებების, საზრუნავის, იმედების სამყარო — აი, უწინარეს ყოვლისა რა გვიზიდავს თანამედროეობის ამსახველ წიგნებში.

შრომის თემა ჩვენს ხელოვნებაში ყოველთვის წყდებოდა როგორც ღრმად ზნეობრივი შინაარსის თემა... დღევანდელ მშრომელ ადამიანს აღამაღლებს თვითონ ჩვენი ყოველდღიურობის ატმოსფერო, კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ცხოვრების განახლებისა და სრულყოფის გეგმების სიდიადე. ყოველივე ამის გამო, ბუნებრივია, დიდი სპეციალური ინტერესი ეგიმართება სსრ კავშირის მწერალთა მომავალ მეექვსე ყრილობაზე.

ყარა-ტეპეს („შავი გორა“) გორაზე სამხრეთ უზბეკეთში, სადაც არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებენ, სენსაციად იქცა წარწერიანი ქვითნის ნატეხების აღმოჩენა. წარწერების ერთი ნაწილი სასკრიტზეა შესრულებული. ამ მასალის სათაური — „გორა „ალპარაკდა“, რუბრიკა — „ძიება, აღმოჩენა“.

PRAVDA

გინ მოიპოვებს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალ წითელ დროშას

კომბაინერთა შეჯიბრება

სიღნაღი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ქერის მოსავლის აღებას შეუდგნენ ბოდბის კალინინისა და ორჯონიკიძის სახელობის, ბოდბისხევის, მაჩხაანის, ძველი ანაგის, ვაქირის, ტიბაანის, ანაგის, ჯუგაანის კოლმეურნეობები. სულ რაიონში ქერი მომკილია 403 ჰექტარზე.

ძმებმა ივანე და ზურაბ მეჯურჭლიშვილებმა სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 3 სამუშაო დღეში თვითეულმა ქერის მოსავალი აიღო 28 ჰექტარზე ნაცვლად 24 ჰექტარისა, შოთა ბაბციაშვილმა ვუშინ ქერი მომკა 10 ჰექტარი ნაცვლად 8 ჰექტარისა, ხოლო სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერმა ანზორ ბენაშვილმა — 11 ჰექტარი, ნაცვლად 8 ჰექტარისა.

ყაზანლიყის ვარდის პლანტაციებში

ყვარელელებმა პირობა წარმატებით გაანალდეს

ყვარელი. რაიონის მშრომელები, რომლებიც ბეჯითად იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, სულ უფრო აძლიერებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტემპს. ამ დღეებში მათ სამშობლოს უპატაკეს ყაზანლიყის ვარდის დამზადების დავალების შესრულება.

— ვეგმით გათვალისწინებული 60 ტონის ნაცვლად, — იტყობინებიან „კომუნისტის“ რედაქციისათვის გამოგზავნილ დეპეშაში საქართველოს კომპარტიის ყვარლის რაიკომის პირველი მდივანი რ. ურჯუმელაშვილი და რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. სესიაშვილი, — მოკრეფილია 90 ტონა მაღალხარისხოვანი ყაზანლიყის ვარდი.

პირუტყვს — ზღვინასპერის საკვების მარაგი

ტემპი, საკვებმომპოვებლებო!

მარნეული

ზღვიულს მარნეულის რაიონში ბალახის უხვი მოსავალია. საკვებმომპოვებლები მის აღება-დაბინავებას რიდი აყოვნებენ. ბეგმა-ვალდებულებით უნდა დამზადონ 20.200 ტონა სენაჟი. უკვე ჩადებულია 12 ათას ტონაზე მეტი სენაჟი. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბალახის გათიბვა.

რესპუბლიკაში ყველაზე მეტს — 18.000 ტონა ბალახის ფქვილს ამზადებს მარნეულის რაიონი. ამ საქმეში ტექნიკას, სრული დატვირთვით ამუშავებენ. პირუტყვიათვის უკვე გამოუშვეს 4.800 ტონაზე მეტი ბალახის ფქვილი.

(„კომუნისტის“ კორ.).

ხაგი

რაიონის საკვებმომპოვებლებმა გადაწყვიტეს ზღვიულს დამზადონ 12 ათასი ტონა ჩალა, 2.700 ტონა თივა, 10 ათასი ტონა სილოსი და 7 ათასი ტონა სენაჟი.

პირობის შესასრულებლად ხოგელები მთელი ძალღონით შუმაობენ. დამზადებულია 4.500 ტონაზე მეტი სენაჟი. ამ საქმეში დაწინაურდნენ ხეთის, პირველი მაისის, საჯიკაოს, ახალხიბულის კოლმეურნეობები, ჭალადიდის, ახალსოფლის, ქვალონის, პირველი ხორგის საბჭოთა მეურნეობები.

(„კომუნისტის“ კორ.).

ბოლნისი

პირუტყვისათვის დავამზადოთ 15 ათასი ტონა სენაჟი, გავთიბოთ 3.812 ტონა ბალახი, სულ დავამზადოთ 22.792 ტონა უხეშ საკვები! — ამ დევიზით შუმაობენ ახლა ბოლნისის რაიონის საკვებმომპოვებლები. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა დაამზადეს 7 ათასი ტონაზე მეტი უხეში საკვები.

ბოლნისის საბჭოთა მეურნეობაში 1.000 ჰექტარზე მეტი ბალახია გასათიბი. აქ საკვებმომპოვებლების მხარდამხარ შუმაობენ დასახმარებად თბილისიდან ჩამოსული ელმავალმშენებლები, მეფოლადეები და ჩარხმშენებლები. ისინი უდანაკარგოდ იღებენ ბალახს, ამზადებენ სენაჟს. ექვს დღეში დამზადეს 170 ტონაზე მეტი სენაჟი.

(„კომუნისტის“ კორ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინა პროექტი სსრ კავშირის კანონისა „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

მიღებულია გადაწყვეტილება, რომ კანონის პროექტი საზოგადოებრივობის განსახილველად გამოქვეყნდეს სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გაზეთ „იზვესტიაში“, „სოვეტსკაია კულტურაში“ და რესპუბლიკურ გაზეთებში.

კანონის პროექტის გამო ყველა შენიშვნა და წინადადება უნდა გაგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნო.

(საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონის პროექტს „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ ვაქვეყნებთ მეორე გვერდზე).

სკკპ დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდა

19 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის თ. დ. კულაკოვის მეთაურობით, რომელიც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით მონაწილეობდა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობის მუშაობაში.

შერემეტიევოს აეროდრომზე დელეგაციას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დოლგიხი და სხვები. (საკდესი).

მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში

19 ივნისს მოსკოვიდან ვოლგოგრადს გაემგზავრნენ ირლანდიის ხალხმეთის სამეფოს მეფე ჰუსეინ ბენ თალალი და დედოფალი ალია. მათთან ერთად გაემგზავრნენ ირლანდიის სახელმწიფო მოღვაწენი. სტუმრები ეწვევიან აგრეთვე ირკუტსკსა და ბრატსკს.

იმავე დღეს სპასტეო სტუმრები ვოლგოგრადში ჩავიდნენ.

(საკდესი).

ხუთწლედი — ვადამდე!

ფოთელთა ნობათი საამშობლოს





● ქალაქ ფოთის მრეწველობამ 17 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

● ნახევარი წლის გეგმამდა და სოციალისტურ ვალდებულებებს ყველა სამრეწველო, სატრანსპორტო, საპაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი ასრულებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის რომ იბრძვიან, — აღნიშნულია ზემდგომი პარტიული ორგანოებისათვის გაგზავნილ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. უბილავა, — ქალაქ ფოთის მრეწველობამ 17 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა.

დავალების გადამეტებით რეალიზებულია მილიონნახევარი მანეთის პროდუქცია. იანვრის ბოლომდე სულ გამოშვებული იქნება გეგმასთან შედარებით ხუთი მილიონი მანეთით მეტი და რეალიზებული — 8 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია.

ნახევარი წლის გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს ყველა სამრეწველო, სატრანსპორტო, საპაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი ასრულებს.

ამ სასიხარულო ცნობის გამო „კომუნისტის“ თანამშრომელი გუშინ ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს იუზა უბილავას და სთხოვა ჩვენი მკითხველებისათვის უფრო დაწვრილებით ვაცნო ქალაქის მშრომელთა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ის ნაყოფიერი შრომა, რის შედეგიც არის პირველი და საგულისხმო წარმატება ახალი ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის დიდ გზაზე.

— დიახ, ჩვენი ქალაქის მშრომელებმა გაბედულად შეუტიეს სიძნელეებს და დაძლიეს პირველი საპატიო ზღუდე — გაანაღდეს მეათე ხუთწლედის პირველი წლის ექვსი თვის დავალება. მათ ქვეყანას სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმის შესრულება ჯერ კიდევ 11 ივნისს უპატაკეს, ხოლო სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა — 17 ივნისს.

როცა ვამბობ, ამ თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 5 მილიონი მანეთის სამრეწველო საქონელს გამოვეშვებთო, ეს იმას ნიშნავს, რომ გეგმა 103 პროცენტით შესრულდება, შარშანდელთან შედარებით წარმოებული იქნება 7 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია. უფრო კარგი მაჩვენებლებია რეალიზაციის მხრივ. მოდით, დავუკვირდეთ ტემპს: წინა წელთან შედარებით რეალიზაციის გეგმის შესრულება 120 პროცენტია, ნაწარმის გამოშვებისა — 112 პროცენტი.

კიდევ უფრო საგულისხმო და სასიხარულო ის არის, რომ წლობით არსებულ ჩამორჩენას ბევრმა შრომითმა კოლექტივმა თავი დააღწია და **დღისათვის უკლებლივ ყველა საწარმო ასრულებს ნახევარი წლის გეგმებსა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს.** სანქციონირებულ სიტყვა ყველასათვის ვვიმეტეტია. თუმცა, ვფიქრობ, იგი განსაკუთრებით დაიმსახურა სოკიანინ თევზჭერის სამმართველომ, რომელიც ტრადიციულად ჩამორჩებოდა.

რა მოხდა აქ? უპირველეს ყოვლისა, გაიზარდა ადამიანთა აქტივობა, მუშაობის ყველა უბანზე იგრძნობა კომუნისტთა ავანგარდული როლი, პარტიულ-ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა ღონისძიებებმა ბევრ კარგ წამოწყებას, სასარგებლო ინიციატივას დაუდო სათავე. გაუმჯობესდა ფლოტის ტექნიკური აღჭურვილობაც. და აი ატლანტიკის ოკეანეში მყოფი ეკიპაჟები „მცხეთა“, „გურია“, „სალხინო“, „საქართველო“ წარმატებით შრომობენ, ამასთან ახალ ვალდებულებებს კისრულობენ.

მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი გემთშემკეთებელი ქარხნის წყალქვეშა ფრთიანმა კატარღამ — „კომეტამ“. საწარმომ წლეულს ექვს თვეში მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

კარგად გაისარჯნენ ხორცისა და რძის სამრეწველო კომბინატის მშრომელები, აქაური კომუნისტები, რომელთაც ნახევარი წლის გეგმა-ვალდებულება 125 პროცენტით გაანაღდეს და წინა წლისგან განსხვავებით ნაწარმის რეალიზაციას მოცულობა ნახევარი მილიონი მანეთით გაზარდეს. გუშინწინ სოციალისტური შეჯიბრების საქალაქო კომისიამ, მაისის შედეგები რომ შეაჯამა, გამარჯვებულ კოლექტივად ცნო სწორედ ხორცისა და რძის სამრეწველო კომბინატი (დირექტორი ვ. გუბია, პარტორგანიზაციის მდივანი თ. გერსამია).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის დახმარებით დიდი ღონისძიებები განხორციელდა სახლეო ნავსაგურისა და რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის, ამან გაუმჯობესა წარმოების ტექნოლოგია, ტვირთების გადამუშავებისა და შენახვის ხარისხი.

ერთი სიტყვით, ფოთში ახლა ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფეროა, რასაც ყოველდღიურად აჯანსღებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების გულმოდგინე, მიზანდასახული საქმიანობა. ფოთელი მშრომელები სრულ მზადყოფნას აცხადებენ, რომ კიდევ უფრო მეტი წარმატება მოიპოვონ მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში.

სურათებზე: (მარცხნივ) **კატარღა „კომეტას“ აწყობს ფოთის გემთშემკეთებელ ქარხანაში;** (მარჯვნივ) — **ფოთის ახალი ნავსადგური.**

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული).

ეენ ნიადაგში კირიანი მასალების შეტანას, მინერალური სასუქების ნარევების მომზადებას, ეს კი, სადაც ეს მიზანშეწონილია, — მინერალური სასუქების შეტანას; ადგილობრივი კირიანი მასალებისა და ტორფის მოპოვებას; ორგანული სასუქების ტრანსპორტირებასა და ნიადაგში შეტანას; მავნებლებისა და დაავადებებისაგან მცენარეთა ქიმიური დაცვის სამუშაოთა შესრულებას; სპეციალიზებული ტექნიკის რემონტსა და ტექნიკურ მომსახურებას, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მომსახურებას მეურნეობებში მუშაობის დროს.

აღნიშნულ სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად „საკოოფლტექნიკის სისტემაში იქმნება მეურნეობათა საწარმოო და აგროქიმიური მომსახურების ქვეგანაყოფები.

სახელმწიფო კონტროლი იმ სამუშაოთა ხარისხისა და დროულად შესრულებისადმი, რომლებსაც სოფლტექნიკის ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა სამინისტროთა და უწყებათა საწარმოები ასრულებენ კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან დადებული ხელშეკრულებებით ამ მეურნეობათა აგროქიმიური მომსახურებისათვის, დაეკისრა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო აგროქიმიურ სამსახურს.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკოოფლტექნიკას“, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას დაევალათ განახორციელონ ღონისძიებები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საცდელი სადგურებისა და სხვა იმ სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, რომლებიც მუშაობენ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქიმიზაციის პრობლემებზე, განამტკიცონ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყონ წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მინერალური სასუქების ტრანსპორტირების, შენახვისა და გამოყენების მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, „საკოოფლტექნიკასთან“, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და დამტკიცოს ქიმიზაციის საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და სოფლის მეურნეობაში გამოყენების შემდგომი სრულყოფისათვის სამეცნიერო კვლევის განვითარების ძირითადი მიმართულებები 1990 წლამდე, ამასთან მხედველობაში იქონიოს კვლევის გაფართოება ამ დარგში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და „საკოოფლტექნიკას“ გაითვალისწინონ მინერალური სასუქების მიწოდების მეათე ხუთწლედსა და შემდგომისათვის დასახული მოცულობები და 6 თვის ვადაში შეიმუშაონ სახოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებები, ამ ღონისძიებებში გაითვალისწინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების გაუმჯობესების საკითხთა მთელი კომპლექსი და, კერძოდ, სოფლტექნიკის ორგანიზაციებში, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (სადაც ეს საჭიროა) მინერალური სასუქების შესანახავად ოპტიმალური ტევადობის დიდი მექანიზებული საწყობების განლაგების ერთიანი სქემა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სასუქების არარაციონალური გადაზიდვა, აგრეთვე გაითვალისწინონ სახოფლო-სამეურნეო ავიაციისათვის ასაფრენ-დასაჯდომი მოედნებისა და სხვა ობიექტების განლაგება.

დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებს უწესებს 1976-1980 წლების დავალებებს „საკოოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსა და „საკოოფლტექნიკას“ გაითვალისწინონ მინერალური სასუქების მიწოდების მეათე ხუთწლედსა და შემდგომისათვის დასახული მოცულობები და 6 თვის ვადაში შეიმუშაონ სახოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის შემდგომი განვითარების ღონისძიებები, ამ ღონისძიებებში გაითვალისწინონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური მომსახურების გაუმჯობესების საკითხთა მთელი კომპლექსი და, კერძოდ, სოფლტექნიკის ორგანიზაციებში, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (სადაც ეს საჭიროა) მინერალური სასუქების შესანახავად ოპტიმალური ტევადობის დიდი მექანიზებული საწყობების განლაგების ერთიანი სქემა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს სასუქების არარაციონალური გადაზიდვა, აგრეთვე გაითვალისწინონ სახოფლო-სამეურნეო ავიაციისათვის ასაფრენ-დასაჯდომი მოედნებისა და სხვა ობიექტების განლაგება.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ მინერალური სასუქების შესანახავი საკოლმეურნეო, საკოლმეურნეობათშორისი და სამეურნეობათშორისი მექანიზებული საწყობების მშენებლობა უზრუნველყონ საჭირო საშენი მასალებით, დასტანდარტებულ-გადმოსატვირთავი მექანიზმებით და სასუქშემრევი აგრეგატებით მათი აღჭურვა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კოლმეურნეობებს ურჩიეს აშენონ საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათშორისი მექანიზებული საწყობები მინერალური სასუქების შესანახავად, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებთან ერთად წილობრივი მონაწილეობა მიიღონ სამეურნეობათშორისი საწყობების მშენებლობაში. საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს მიენიჭათ უფლება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, აგრეთვე სსრ კავშირის იმ სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით, რომელთა გამგებლობაშია ეს საბჭოთა მეურნეობები და საწარმოები, მინერალური სასუქების შესანახავი მექანიზებული საწყობების მშენებლობისათვის საერთაანმენ საკუთარი სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია არაცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებების დაფინანსებისათვის, და კოლმეურნეობათა სახსრები (მათი თანხმობით).

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ მინერალური სასუქების შესანახავი საკოლმეურნეო, საკოლმეურნეობათშორისი და სამეურნეობათშორისი მექანიზებული საწყობების მშენებლობა, აგრეთვე სსრ კავშირის სახმშენთან შეთანხმებით დაამტკიცონ ამ საწყობების ტიპობრივი პროექტები, ამ პროექტებში გაითვალისწინონ სასაწყობო ოპერაციათა კომპლექსური მექანიზაცია, დასტანდარტთან-გადმოსატვირთავი მექანიზმებით და სასუქშემრევი აგრეგატებით მათი აღჭურვა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამოცანად დაუსახეს ეკონომიკურად მიზანშეწონილი ტექნიკურ-ეკონომიკური ნორმატივების, ტიპიური ტექნოლოგიური სქემებისა და ნორმატიული დოკუმენტაციის, ტიპიური ტექნიკური ინვენტარის, ტიპიური ტექნიკური ინვენტარის, ტიპიური ტექნიკური ინვენტარ

ხალხისა და პარტიის ერთგულებით

ხვალ, 21 ივნისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში იხსნება სსრ კავშირის მწერალთა VI ყრილობა.

საქართველოს მწერლები — ხალხისა და პარტიის მხარდამჭერ!

ბრიგოლ აბაშიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

ჩვენი ქვეყნის მწერლების მეექვსე ყრილობა იკრიბება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შემდეგ. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი მუშაობის პროგრამა განსაზღვრულია ამ პრობლემებით და გადაწყვეტილებებით, რომლებიც პარტიის ყრილობამ დაიყენა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში ფართო ადგილი დაეთმო ლიტერატურის საკითხებს. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გულთბილად ალაპარაკა საბჭოთა მწერლებს მიღწევებზე და მაღალი შეფასება მისცა მწერლებისა და ხელოვნების მუშაკების შრომას.

მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა ერთი ცხოვრებით ცხოვრობს და თუმცა ყველელ ეროვნულ ლიტერატურას თავისი სპეციფიკა და ხასიათი აქვს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის პროცესები და პრობლემები საერთოა.

ქართული მწერლობა ყრილობაზე წარსდგება გარკვეული მიღწევებით: მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით, რომლებიც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე არის შექმნილი და რომლებმაც უკვე საერთო აღიარება და პოპულარობა მოიპოვა. ქართული ლიტერატურის ამ თვალსაზრისო წარმატებებში გარკვეული როლი შეასრულა იმ დიდმა ძვრებმა, რომლებიც ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოხდა. ეს სასიკეთო გავლენა ერთნაირად შეეხო მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგს.

საბჭოთა კავშირის მწერალთა VI ყრილობა ის სიატერ ტრიბუნაა, საიდანაც მწერლობა შემოქმედებითს ანგარიშს ჩააბარებს პარტიასა და ხალხს, დასახავს განვითარების შემდგომ გზებს, შემდეგ კი პარტიისადმი, ქვეყნისადმი ერთგულებით ყველაფერს გააკეთებს ამისათვის, რომ უფრო ახლოს იყოს ხალხის ცხოვრებასთან, უფრო უკეთ შეასრულოს საბჭოთა კავშირის ხალხების მეამტიანის კეთილშობილური და პასუხსაგები მოვალეობა...

საბჭოთა ლიტერატურა ასახავს ჩვენი ხალხების ლენინურ მეგობრობას. ეხმარება ამ მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას და ურთიერთ სულიერ გამდიდრებას. ამ საქმეში, ჩვენი ქვეყნის მწერალთა ყრილობას განსაკუთრებული როლი აკისრია.

ქართველი მწერლები ოდითგანვე უმღერიდნენ ჰუმანიზმს, ხალხთა ძმობას და მეგობრობას. ქართული მწერლობა ყოველთვის იყო და არის ერთგული საბჭოთა ხალხის ერთიანი ძმური ოჯახისა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ერის კულტურა-არნახულ აყვავებასა და გაფურჩქნას. ჩვენი მწერლობის საუკეთესო კლასიკური და თანამედროვე ნიმუშები რუსულ ენაზე ბრწყინვალედ შესრულებული თარგმანებით დიდი ხანია ხელმისაწვდომი გახდა მრავალეროვნული საბჭოთა მკითხველის ფართო აუდიტორიისათვის. ქართული მწერლობა — თავისი ხალხისა და პარტიისადმი ერთგულებით გამსჭვალული, ჩვენი ქვეყნის ახალი დიდი მიღწევებით ფრთაშესხმული კვლავაც შთაგონებით უმღერებს ახალ სოციალისტურ ყოფას. ქართული მწერლობის დღევანდელი მიღწევები იმედს გვაძლევს, რომ მომავალშიც შეიქმნება მრავალმნიშვნელოვანი ნაწარმოებები საბჭოთა ხალხის გამარჯვებისა და შემართების სადიდებლად, ჩვენი სამშობლოს ბედნიერებისა და ძლევამოსილების უკვდავსაყოფად.

საბჭოთა კავშირის მწერალთა VI ყრილობა კვლავაც იქნება ჩვენი ხალხების ლიტერატორთა ერთიანობისა და პარტიისადმი ერთგულების ის ერთსულოვნების დადასტურება, რომლითაც იგი უმღეროდა და უმღერის საბჭოთა ხალხის ახალ დიად გამარჯვებებს.

18 ივნისს ალექსანდრე ფადეევის სახელობის ლიტერატურის ცენტრალურ სახლში საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის, საქართველოს მწერალთა კავშირის და ლიტერატურის ცენტრალური სახლის თაოსნობით მოეწყო ლიტერატურული საღამო — „საქართველოს პოეტები“, რომელიც ჩვენი ქვეყნის მწერალთა VI ყრილობას მიეძღვნა...

ქართული პოეზიის საღამოს თავჯდომარეობდა მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის გამგეობის პირველი მდივანი მ. ლუკონინი. მაყურებელთა ტაშის გრიალში მან დამსწრეთ წარუდგინა ქართველი მწერლები და პოეტები გრ. აბაშიძე, ირ. აბაშიძე, გ. ასათიანი, ხ. ბერულავა, ნ. დუმბაძე, ა. კალანდაძე, ჯ. ყალიჯ, მ. კვიჩიე, ნ. კილასონია, გ. მარგველაშვილი, რ. შარგიანი, ი. ნონეშვილი, ა. სულაკაური, მ. ფოცხიშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ო. ჭელიძე, თ. და ო. ჭილაძეები, ფ. ხალვაში და სხვ.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა კრიტიკოსმა გ. ასათიანმ...

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან რუსი და ქართველი პოეტები, ვისმის ქართული და რუსული სიტყვა, ლექსები ქართულ და რუსულ ენებზე...

ტრიბუნაზეა **ევგენი ევტუშენკო.** ის განსაკუთრებული სითბოთი იგონებს თბილისში გატარებულ დღეებს, პოეზიის საღამოებს, ქართველ პოეტებთან მეგობრობას, შემდეგ კი კითხულობს ქართველ პოეტთა ლექსებს საკუთარ თარგმანებს.

უხუცესი საბჭოთა პოეტი, ქართული ლიტერატურის დიდი მეგობარი **პავლე ანტოკოლსკი** იგონებს:

— თითქმის სამოცი წელიწადია ლიტერატურის ფრონტზე ვარ... ვინ მოთვლის, რამდენი უძილო დამე გამიტარებია ქართული ლექსის რუსულად თარგმნის დროს. რამდენჯერ დავმტკბარვარ ქართული ლექსის მუსიკით და საკმაოდ... როგორ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი ერთგული მეგობრები გოგლა ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ბრწყინვალე პოეტები და მოქალაქენი. კარგად მახსოვს როგორ ეუბნებოდა მაქსიმ გორკი მოსკოვში შალვა დადიანს: „ჩვენი ყოველდღიურობა გმირობაა, გმირობა კი ყოველდღიურობა. ასეთია სოციალისტური სინამდვილე, რამაც სოციალისტური რეალიზმის „ლოზუნგი შექმნა“... როგორ გრძნობდა ეპოქის სუნთქვას, როგორ შორს იყურებოდა მ. გორკი!...

ტრიბუნაზეა პოეტი **ბელა ახმადულინა:** — ქართული პოეზია ჩემი სუნთქვაა, — ამბობს იგი, — ჩემი სინაზე და სიხარულია. მე ვამაყობ, რომ შევიგრძენი და შევიყვარე ქართული ლექსი. შემდეგ მას წიფელი ბიხაკები მიაქვს ანა კალანდაძესთან და ასე მიმართავს: თქვენ გეკუთვნით ეს ყვავილები. ჩემი სიყვარულია თქვენი ლექსების მიმართ საყოველთაოდ არის ცნობილი. ბელა ახმადულინა კითხულობს ანა კალანდაძის საკუთარი ლექსებს თარგმანს...

ქართული პოეზიის საღამოს მოსკოვის ლიტერატორის ცენტრალურ სახლში ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მ. სარიძე.**

საღამოს დასასრულს გაზეთ **„კომუნისტისათვის“** ინტერვიუ ვთხოვეთ საბჭოთა მწერალთა I ყრილობის დელეგატებს, უხუცეს ლენინგრადელ პოეტს **ნიკოლოზ ბრაუნს** და უკრაინის სსრ სახალხო პოეტს, რუსოველის პრემიის ლაურეატს **მიკოლა ბაჟანს.**

— ყველაფერი ეს თითქოს გუშინ მოხდა, თქვა ნ. ბრაუნმა, 1934 წლის 17 აგვისტოს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა საბჭოთა მწერლების I ყრილობა. ეს დაუვიწყარი დღე საბჭოთა მწერლობის დიდი ზეიმი იყო. ყრილობის წინა დღეებში საქართველოში იმოგზაურა რუს მწერალთა ბრიგადამ პ. პავლენკოს, ი. ტინიანოვის, ბ. პასტერნაკის, ნ. ტიხონოვის და ვ. გოლცევის შემადგენლობით. ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან ტიციან ტაბიძემ შადლობა გადაუხადა მათ იმ დიდი მუშაობისათვის, რომელიც საქართველოში გასწიეს. განსაკუთრებული მადლობით მოიხსენია ორატორმა ბ. გორკი, რომელიც ამ დიდი თაოსნობის ინიციატორი იყო. მშვენივრად ასახა მწერალთა პირველი ყრილობის დაუვიწყარი დღეების სიხარული პაოლო იაშვილმა, რომელმაც თქვა: „სამყაროს შექმნის შემდეგ არ ყოფილა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, რომ ამდენი მწერალი ერთად შეყრილიყო და ასე გულით გაეხარესო“.

პირველ ყრილობაზე ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა მწერლების დიდ მეგობრობას, ძმობას, სიკეთეს და გულისხმიერებას...

— რა დამავიწყებს 1948 წლის 29 ივნისს, — გვეუბნება **მიკოლა ბაჟანი,** — როდესაც ქალაქ მირგოროდში ჩამოვიდა ქართველ მწერალთა დელეგაცია დავით გურამიშვილის საფლავის მოსანახულებლად. ქართველმა მწერლებმა დავით გურამიშვილის საფლავს ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან წამოღებული მიწა მოაყარეს... ეს მარადსამახსოვრო დღე იყო მომძე უკრაინელი და ქართველი ხალხების ისტორიისა, ეს ხალხთა ლენინური მეგობრობის საუკეთესო დადასტურება იყო. მიზანია, რომ დღეს ქართული პოეზიის საღამოზე ისევ ავღორძინობა იმ შორეულ დღეთა სუნთქვა და მაჯისცემა... სულ ახლახან კიევში, ლიტერატურულ ჟურნალ „ვიტჩიზნაში“ დაიბეჭდა ჩემი მოგონებები საქართველოზე. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იყო ხევსურეთში მოგზაურობა სიმონ ჩიქოვანთან ერთად. დღესაც სიამოვნებით დავიგლიდი საყვარელი საქართველოს მთა-ბარს.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

მოსკოვში ეღერს ქართული ლექსი

ქართული პოეზიის საღამო ა. ფადეევის სახელობის ლიტერატურის ცენტრალურ სახლში

ქართული პოეზიის საღამოს ორგანიზაციის ბიუროს ინიციატივით, ეს საღამო ეძღვნებოდა ქართველ ოსტატ მთარგმნელთა ნაღვაწს. ეს ნაღვაწი ფასეულია, ეს ნაღვაწი ეროვნული ფასეულობაა. ეს ნაღვაწი ეროვნული ფასეულობაა, ეს ნაღვაწი ეროვნული ფასეულობაა, ეს ნაღვაწი ეროვნული ფასეულობაა,

ხალხის სიყვარული

სამსონ ჭანბას დაბადების 90-ე წლისთავის გამო

სოხუმი. 19 ივნისი. (საკ. კორ.). გუშინ გამოჩენილი აფხაზი მწერლის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სამსონ ჭანბას დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა სახელმწიფო თეატრში, რომელიც თვით მწერლის სახელობისაა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, სახალხო პოეტმა ბ. შინკუბამ. სამსონ ჭანბას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა პროფესორმა შ. ინალ-იფამ. სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა ი. პაპასქირმა, რ. თაბუკაშვილმა, ა. უვანიამ, ა. ჯიდარიანმა, საქართველოს და აფხაზეთის სახალხო არტისტმა შ. ფაჩალიამ და სხვებმა. პოეტმა ვ. ანქვაბმა წაიკითხა ჭანბასადმი მიძღვნილი ლექსი. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა მწერლის შვილმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ჭანბამ.

გამოჩენილი აფხაზი მწერალი და ჟურნალისტი, ეროვნული დრამატურგიის ფუძემდებელი, რევოლუციონერი და გახმასათლებელი, ცხოვრებისაზოგადო, პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1921 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი სამსონ ჭანბა დაიბადა 1886 წლის 18 მაისს სოფელ ატარაში (ოჩამჩირის რაიონში). დიმიტრი გულიასთან ერთად სამსონ ჭანბა აფხაზური მხატვრული ლიტერატურის ერთი დამწყებთაგანია.

სამსონ ჭანბა იყო პირველი საბჭოთა აფხაზური ბეთის „აფსნი ყაფშის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, აქტიური კორესპონდენტი და პირველი რედაქტორი, აფხაზეთის სახალხო განათლების სახალხო კომისარი, ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი პირველი პრეზიდენტი, აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, ახალი აფხაზური შრიფტის შემმუშავებელი კომისიის, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საბჭოთა მწერალთა I ყრილობის მონაწილე. 1932 წლიდან აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა.

მომავალი დიდი მწერლის პირველი მხატვრული ნაწარმოებები პრესაში 1916 წლიდან გამოჩნდა. 1919 წელს გაზეთ „აფსნიში“ დაიბეჭდა სამსონ ჭანბას რომანტიკული პოემა „მთების ქალწული“ და ყველასათვის ნათელი გახდა, რომ აფხაზურ მწერლობაში მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი მოვიდა. მალე ეს აზრი უკვე რეალობად იქცა.

უაღრესად ფართო და მრავალმხრივია სამსონ ჭანბას ჟანრობრივი დიაპაზონი. იგი თითქმის ერთნაირი ოსტატობით წერდა ლექსებსა და სიმღერებს, ლექსებს პროზად, ლირიკულ და ეპიკურ პოემებს, ისტორიულ დრამებს, ისტორიულ-რევოლუციურ პიესებს, სოციალურ-საყოფაცხოვრებო კომედიებს, ნოველებს, მოთხრობებს, სცენარებს, ნარკვევებს, ლიტერატურულ-პუბლიცისტურ სტატიებს, ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობით ჟანრში—ქართული, რუსული და სხვა ენებიდან თარგმნიდა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს.

სამსონ ჭანბას, როგორც ეროვნული მწერლობის კლასიკოსის შემოქმედებამ უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა აფხაზური ლიტერატურისა და, საერთოდ აფხაზური კულტურის განვითარებაში, მისი მხატვრულ-იდეური დონის ამაღლებაში.

დიდია სამსონ ჭანბას დამსახურება, როგორც აფხაზური დრამატურგიის ფუძემდებლისა. აფხაზური დრამატურგიის ოქროს ფოსფორი მისი დრამები და კომედიები: ძლიერი პოლიტიკური სიმახვილით გაჟღენთილი სიმბოლურ-რომანტიკული პიესა „აფსნი ხასიმი“, ისტორიული დრამა „ამბაჯირი“ (განდევნილი), სატირული პიესები „იყო ოდესღაც“, „შემთხვევა წარსულიდან“, „სავაფიღმერთი“ და პიესა „გამარჯვება“ (ანალგაზრდა მწერალი ვ. აგრბას თანაავტორობით), რომელშიც მხატვრულად არის ასახული აფხაზეთის საკოლმეურნეო მშენებლობის დასაწყისი პერიოდის ამბები.

სამსონ ჭანბა ბევრი ოსტატური მოთხრობისა და ხოველის ავტორია. მაგრამ მისი პროზაული ნაწარმოებების გვირგვინად სამართლიანად ითვლება ვრცელი ეპიკური ქმნილება „სეიდიკი“ (1934 წ.). ეს არის ფართო მხატვრული ტილო, რომელშიც ასახულია საბჭოთა სოფლის სოციალისტური მშენებლობის გარდატეხის პერიოდი, პირველი კოლმეურნეობების ჩამოყალიბება და ამ პროცესთან დაკავშირებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლები. „სეიდიკი“ ჯერ კიდევ მაშინ ქართულად ითარგმნა და ჟურნალ „ მნათობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, შემდეგ, თვით ავტორის მიერვე თარგმნილი, რუსულ ენაზეც გამოვიდა ცალკე წიგნად..

გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სამსონ ჭანბას მრავალმხრივი შემოქმედება რევოლუციამდელი და საბჭოთა აფხაზეთის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელია. მისი საუკეთესო ნაწარმოებები, რომლებიც გაჟღენთილია ჰუმანიზმითა და პატრიოტიზმით და შრომის ხუფევას უგალობს, აფხაზური კულტურის საგანძურშია შესული, ხოლო თვით მწერლის, როგორც შემოქმედის, ადამიანისა და მამულიშვილის სახელს შთამომავლობა მარად სიყვარულით და მადლიერებით მიიგონებს.

შ. ინალ-იფა,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

შრომა და ხელოვნება

თბილისი ჩაის სახლში გრძელდება ერთობლივი ფოტოგამოფენა „იუგოსლავია-საქართველო“. იგი მოაწყო პროფკავშირების კულტურის სასახლესთან არსებულმა რესპუბლიკურმა ფოტომოყვარულთა კლუბმა „საქართველომ“. ექსპოზიციაში 140 სურათია. ყოველისმხილველმა ობიექტივმა აღბეჭდა შრომისა და ხელოვნების ადამიანები, სამრეწველო პეიზაჟები, სპორტული შეჯიბრებები, არქიტექტურული ძეგლები, ჟანრული სცენები.

იუგოსლავი ოსტატები წარმოადგენენ ქალაქ-კურორტ ნოვი-სადის „ბრანკო ბაჩის“ პროფესიულ კლუბს, რომელიც ცნობილი საერთაშორისო ფოტოგამოფენის „ოქროს თვალის“ ორგანიზატორია. შარშან მან იუგოსლავიაში მოაწყო გაზეთ „კომუნისტის“ ფოტორეპორტიორის ს. კილაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

თბილისში მოწყობილმა ახლანდელმა ექსპოზიციამ ასე ფართოდ პირველად გააცნო თბილისელებს იუგოსლავი ფოტოოსტატების შემოქმედება. სტუმრების ნაწარმოებთა შორის არის ორიგინალური ჟანრული ფოტოსურათების სერია, რომელიც გააკეთა იუგოსლავიის კლუბის თავმჯდომარემ ბორივოი მიოსავლევიჩმა. მკაფიო ინდივიდუალური მანერა ეტყობა ანა ლაზუკევიჩის „შთაგონებას“, ჟეზა ლენარტის „ახალ რიგონს“, ლასლო დორმანის „უმორისტს“.

გამოფენის მასპინძლები ყველაზე სრულად და საინტერესოდ არიან წარმოდგენილნი კლუბ „საქართველოს“ გეტერანების ნამუშევრებით. ესენი არიან სამთო ინჟინერი მ. თათარიშვილი, მეტყევე ინჟინერი ზ. დათუაშვილი. საუცხოოა თბილისის „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანების მუშაკის ი. ოქუაშვილის ფერადი ფოტოსურათები. შავ-თეთრი ფოტოსურათები, რომლებიც გააკეთეს საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის თბილისის ინსტიტუტის თანამშრომელმა გ. ალვარიძემ, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ ლიტმუშაკმა ბ. კამენსკიმ, კლუბ „საქართველოს“ შეთოდისტმა ნ. ანასტასიანმა და სხვებმა.

სრულყოფილი ნამუშევრების შთაბეჭდილებას ახდენს დებიუტანტების — ინჟინერ თ. მღებრიშვილის, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტის მ. როსტომაშვილის, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლის ს. ღუდუშაურის სურათები.

გამოფენის მოწყობისა და იუგოსლავიის ფოტოხელოვნების პოპულარიზაციისათვის კლუბი „ნოვი სადი“ ფოტოკლუბ „საქართველოს“ სამახსოვრო მედლით —„ვერცხლის ჯიხვით“ დაჯილდოვდა.

გამოფენა, რომელიც 15 დღეს გასტანს დიდი პოპულარობით სარგებლობს. იგი უკვე მრავალმა თბილისელმა ნახა და მოიწონა.

(საქინფორმი).



ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

სურათებზე: მარჯვნივ ზემოდან — ᲧᲐ. ლომაძე — „მეფოლადე“; ს. კილაძე — „ქალიშვილის პორტრეტი“; ლ. დორმანი (იუგოსლავია) — „ნაპირი“; ქვემოთ მარცხნივ — ზ. დათუაშვილი — „მშობლიური მხარე“; შ. ლაზუკიჩი (იუგოსლავია) — „ფაეტონი“.

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘ — ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

სილამაზის ჯადოქარი

განა არის ისეთი ახალგაზრდა, რომელიც სილამაზეზე არ ოცნებობდეს. ბუნება კი ამ სიკეთით ყველას აჯილდოებს?! რამდენჯერ გვინახავს ადამიანი, რომელსაც, რომ იტყვიან, კალმით ნახატი თვალ-წარბი აკვს, მაგრამ დიდი ან მოგრეხილი ცხვირი მის სახეს ეშხს უკარგავს.

და აი დღეს სამედიცინო „ხელოვნებას“, ქირურგის სკალპელს უნარი შესწევს გამოასწოროს ეს ბუნებრივი ნაკლი, ადამიანი ფსიქოლოგიური ტრავმისაგან გადაარჩინოს და სამუდამო სიხარული მიანიჭოს.

სილამაზის ოსტატ ქირურგთა შორის სახელი გაითქვა რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა **ვახტანგ ხუციძემ**, რომელმაც ჩვენს რესპუბლიკაში პლასტიკურ ქირურგიის ნაუყარა საფუძველი.

ვახტანგ ხუციძეს, როგორც შესანიშნავ ექიმ ოტო-ლარინგოლოგს, მანამდეც კარგად იცნობდნენ ჩვენში. ვინ მოთვლის, მისმა მარჯვენამ რამდენი განკურნა ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებისაგან, რამდენს დაუბრუნა ჯანმრთელობა.

ამ უკანასკნელ წლებში კი იგი ძირითადად პლასტიკურ ქირურგიაში მუშაობს.

სანამ ქირურგი სკალპელს ხელში აიღებდეს და საოპერაციო მაგიდაზე „ძერწვას“ შეუდგებოდეს, წინასწარ დიდხანს სწავლობს თავისი პაციენტის სახეს.

დაამოკლო, თუ გაასწორო კეხიანი ცხვირი, ეს საკმარისი არ არის სილამაზის აღდგენისათვის. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სახის ნაკვთების საერთო პროპორციას, ადამიანისათვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ თვისებებს. ზოგჯერ სწორი, თხელი ცხვირი არ უხდება მოლანად სახეს. ამ შემთხვევაში ქირურგმა, სწორედ პაციენტის ხასიათის შესაბამისი ფორმა უნდა გამონახოს. ამიტომ იგი წინასწარ ბევრს მუშაობს, აკვირდება თავისი პაციენტის ფოტოსურათს, ხატავს, ხაზავს, იღებს თაბაშირის ნიღაბს და შემდეგ ჩანაფიქრს საოპერაციო მაგიდაზე ახორციელებს.

...მოხერხებული, გამოცდილი ხელი კვეთავს ცხვირის შიდაღრუს, ცხვირის ხრტილს და ძვალოვან ნაწილს (ჩონჩხს) საჭირველ ფორმას აძლევს, შემდეგ კანი შპვენიერად იღებს დამუშავებული ხრტილის ფორმას. რამდენიმე დღის შემდეგ კი, როცა უკვე ნაოპერაციევს თაბაშირს ხსნის, მკურნალი იღებს მისთვის ყველაზე დიდ ჯილდოს — ადამიანის სიხარულს, მადლობას ბედნიერების მინიჭებისთვის.

ვ. ხუციძე წლითიწლობით აუმჯობესებს აღდგენითი ქირურგიის მეთოდებს. ამჟამად იგი ოპერაციებს ე. წ. ენდონოზალური მეთოდით ახორციელებს, ეს იმის ნიშნავს, რომ ოპერაცია შინაგანია და კანზე არავითარი განაკვეთი არ რჩება.

ვ. ხუციძის ხელოვნებით მადლიერი ბევრი ახალგაზრდა რედაქციაში წერილებს გვწერს, გვთხოვს დავწეროთ ამ საოცარ ხელოვან ქირურგზე.

...ვეწვიეთ თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საექიმო-კოსმეტოლოგიურ სამკურნალოს ვიჟა-ფშაველას პროსპექტზე, სადაც ამჟამად ვახტანგი მუშაობს.

სანამ № 36 საცხოვრებელ სახლს მივუახლოვდებოდით, ქუჩაში ცხვირგადახვეული ქალები შემოგვგზავნენ. დაწესებულების შესასვლელშიც საკმაოდ ბევრი ასეთი ქალი ვნახეთ, რომლებიც ოპერაციის მეორე დღეს ბინდბინდზე ელოდებოდნენ ექიმ-ოტოლარინგოლოგს, ბინდბინდზე ... ბინდბინდზე ... ბინდბინდზე ...